საქსტატი
www.geostat.ge

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

საფოსტო და საკურიერო საქმიანობით დაკავებული საწარმოების გამოკვლევის შედეგები

2024 წელი

21.10.2025
www.geostat.ge

21.10.2025

საფოსტო და საკურიერო საქმიანობით დაკავებული საწარმოების გამოკვლევის შედეგები

(2024 წელი)

გამოკვლევის შედეგების მიხედვით, 2024 წელს საფოსტო და საკურიერო საქმიანობით დაკავებული საწარმოების[1] შემოსავლებმა 228.7 მლნ. ლარი შეადგინა. შემოსავლის უდიდეს ნაწილს საერთაშორისო საფოსტო-საკურიერო მომსახურებიდან მიღებული შემოსავლები (68.0 პროცენტი) შეადგენდა, ხოლო 32.0 პროცენტს - ადგილობრივი მომსახურებიდან მიღებული შემოსავლები.

საფოსტო და საკურიერო საქმიანობით დაკავებული საწარმოების შემოსავლების 80.2 პროცენტი ამანათების მიწოდებიდან არის მიღებული, რომლის 72.6 პროცენტი საერთაშორისო გზავნილებზე მოდიოდა, 27.4 პროცენტი კი – ადგილობრივ გზავნილებზე.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია ამანათების მიწოდებიდან მიღებული შემოსავლების სტრუქტურა:

დიაგრამა №1

ამანათების მიწოდებიდან მიღებული შემოსავლების სტრუქტურა, 2024 წელს



[1] სახლში საკვების მიწოდების მომსახურების გარეშე (საქართველოს ეროვნული კლასიფიკატორი (სეკ 006-2016))

21.10.2025

საფოსტო და საკურიერო საქმიანობით დაკავებული საწარმოების შემოსავლების 11.7 პროცენტი წერილობით კორესპოდენციებზე მოდიოდა, რომლის 44.0 პროცენტი საერთაშორისო იყო, ხოლო 56.0 პროცენტი – ადგილობრივი.

ქვემოთ მოცემული დიაგრამა ასახავს წერილობითი კორესპონდეციების მიწოდებიდან მიღებული შემოსავლების სტრუქტურას:

დიაგრამა №2

წერილობითი კორესპონდეციების მიწოდებიდან მიღებული შემოსავლების სტრუქტურა, 2024 წელს



საფოსტო და საკურიერო მომსახურებით დაკავებული საწარმოებმა 2024 წლის განმავლობაში გააგზავნეს 13.3 მილიონი ამანათი და 5.9 მილიონი წერილობითი კორესპონდენცია.

2024 წელს საფოსტო და საკურიერო საქმიანობით დაკავებულ საწარმოებში დასაქმებულთა საშუალო წლიური რაოდენობა შეადგენდა 4.0 ათასს და მათ შორის 1.5 ათასი იყო კურიერი, ფოსტალიონი ან ფელდეგერი.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

საკონტაქტო პირები:

დავითი ჟორჟოლიანი, ტელ: 2 36 72 10 (601), E-mail: dzhorzholiani@geostat.ge
მარიამ ყაველაშვილი, ტელ: 2 36 72 10 (020), E-mail: mkavelashvili@geostat.ge